



**2023-2030 წლების ნარკოპოლიტიკის
ეროვნული სტრატეგია**

შინაარსი

სტრატეგიის ხედვა და მიზანი	2
პრინციპები	3
ნორმატიული ჩარჩო	4
სიტუაციის ანალიზი	6
პრევენცია	10
მკურნალობა და რეაბილიტაცია	13
ზიანის შემცირება	16
მიწოდების შემცირება	21
სტრატეგიის განმახორციელებლები/დაინტერესებული მხარეები	24
მონიტორინგი და შეფასება	28

სტრატეგიის ხედვა და მიზანი

პირველი ეროვნული ნარკოპოლიტიკის სტრატეგია ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ (შემდგომ – „საბჭო“) 2013 წელს დაამტკიცა. სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაცია შესაძლებელი გახდა თანმიმდევრული თემატური ეროვნული სამოქმედო გეგმების მეშვეობით (2014-2015, 2016-2018, 2019-2020, 2021-2022).

ახალი, 2023-2030 წლების ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგია მიზნად ისახავს, შეინარჩუნოს ბალანსი ფსიქოაქტიური საშუალებების არალეგალური გავრცელების პრევენციულ, სამკურნალო და მიწოდების შემცირების შესაბამის ზომებს შორის, მხარი დაუჭიროს მოქალაქეების ჯანმრთელობისა და ზრუნვის პრინციპებს. ამასთან, შენარჩუნებულ იქნეს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სამედიცინო მიზნებისათვის ხელმისაწვდომობა.

წინამდებარე სტრატეგიის ხედვა ეფუძნება ცხოვრების წესისა და ჯანსაღი გარემოს იდეას, სადაც ფსიქოაქტიური ნივთიერებების არალეგალური გავრცელებით გამოწვეული ზიანი შემცირებულია; გაუმჯობესებულია ადამიანთა ცხოვრებისეული პოტენციალი და მიზანზე ორიენტირებული მკურნალობა; ზრუნვა და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია საჭიროების მქონე ყველა პირისათვის.

სტრატეგია მხედველობაში იღებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეულ ზიანს საზოგადოების, თემის, ოჯახისა და ინდივიდის დონეზე და ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებული ინტერვენციებისა და პრევენციის საჭიროებებს. წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება ხუთ ძირითად მიზანს:

პრევენცია

- მოსახლეობისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რათა შემცირდეს ქვეყანაში ლეგალური და არალეგალური ფსიქოაქტიური საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარების გავრცელება.

მკურნალობა და რეაბილიტაცია

- ეფექტიანი და ინტეგრირებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის მხარდაჭერა, რაც რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა.

ზიანის შემცირება

- რისკის ფაქტორების შემცირება, ზრუნვისა და მხარდაჭერი გარემოს შექმნა, რაც ნარკოტიკულ საშუალებათა მაღალი რისკის მოხმარებელთათვის ჯანმრთელ და მეტად პროდუქტიულ საცხოვრებელ გარემოს ქმნის.

მიწოდების შემცირება

- ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ხელმისაწვდომობის კონტროლი და ფარმაცევტული პროდუქტების არასამედიცინო მიზნით მოხმარების შემცირება.

სტრატეგიის განმახორციელებლები/დაინტერესებული მხარეები

- სტრატეგიის ეფექტიანი შესრულება დამოკიდებულია სათანადო მექანიზმებისა და სამართლებრივი ჩარჩოს არსებობაზე, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარების გზით მიიღწევა.

პრინციპები

წინამდებარე სტრატეგია ემყარება ინკლუზიურობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის ღირებულებებს.

თანაბარი ხელმისაწვდომობა

წინამდებარე პრინციპი უზრუნველყოფს ეფექტიან მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას ნებისმიერი მახასიათებლების განურჩევლად, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების აღიარებით. პრინციპი, ასევე, პასუხობს სტიგმას, როგორც გამოწვევას, რამაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს ინდივიდების ცხოვრებისეულ არჩევანზე.

უწყვეტი ზრუნვა და დროული რეაგირება საჭიროებებზე

უწყვეტი ზრუნვა გულისხმობს მომსახურებისა და სათანადო სერვისების მიწოდების კოორდინაციას იმგვარად, რომ რეაგირება საჭიროებებზე იყოს დროული და მოქნილი, ხოლო ინდივიდუალური დახმარება მიეწოდოს თითოეულ პირს საჭიროებისამებრ, გრძელვადიანად და გარემოებათა ცვლილების მიუხედავად.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა

აღნიშნული პრინციპი ეფუძნება დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის ადაპტირებას, რათა შესაძლებელი გახდეს თითოეული გადადგმული ნაბიჯისა და გატარებული ღონისძიების გავლენისა და ეფექტიანობის შეფასება.

ფოკუსირება ზიანის გამომწვევ ფაქტორებზე

მოცემული პრინციპი გულისხმობს სისხლის სამართლისა და მართლმსაჯულების სისტემის ძალისხმევის კონცენტრირებას ნარკოტიკებით ვაჭრობისა და გასაღების წინააღმდეგ. ამასთან, პრინციპი უზრუნველყოფს გარდამავალ მხარდაჭერასა და ზრუნვას იმ პირთა მიმართ, რომელთაც მოხმარების შედეგად გამოწვეული ზიანი მიაღწათ.

მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე პრინციპი ხაზს უსვამს ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარების მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელობას. ამასთან, სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციების, კვლევისა და ანალიზის უწყვეტ რეჟიმში წარმართვას, რათა ხელი შეუწყოს მაღალი სანდოობის მქონე მტკიცებულებებისა და ინფორმაციის აგრეგირებას ნარკოპოლიტიკის დახვეწისა და ადაპტირების პროცესში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

სტრატეგიის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის კიდევ ერთი მექანიზმი არის საერთაშორისო თანამშრომლობა, რაც თანამედროვე მიდგომების, არსებული მეთოდების, სტანდარტების თაობაზე გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

ნორმატიული ჩარჩო

სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოზე, კონვენციებსა და მოცემული სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპების ძირითად მახასიათებლებზე:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციები

სტრატეგია ითვალისწინებს და ასახავს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს გაერო-ს 1961 წლის „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ ერთიანი კონვენციის, 1971 წლის „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ კონვენციისა და 1988 წლის „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კონვენციის დებულებებიდან.

ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის

წინამდებარე სტრატეგია მხარს უჭერს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ დებულებებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის, ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებასთან გამკლავების, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხებს შეეხება. ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის მუდმივი დიალოგის საგანია, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტების სახელმძღვანელო ჩარჩოდოკუმენტს წარმოადგენს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია (UNGASS)

UNGASS 2016 წლის შეხვედრაზე ნარკოტიკების გავრცელებასთან დაკავშირებული გამოწვევების ეფექტიანი საპასუხო ზომების გატარების მიზნით მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივ რეკომენდაციებზე. ასამბლეის შედეგების დოკუმენტი მოიცავს შვიდ თემატურ თავში ასახულ 100-მდე საოპერაციო რეკომენდაციას, რომლებიც ფოკუსირებულია ადამიანის უფლებათა დაცვასა და პატივისცემაზე, მოთხოვნისა და მიწოდების შემცირების საკითხებზე, სამედიცინო და სამეცნიერო მიზნით კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ხელმისაწვდომობაზე, გამოწვევებისა და ახალი ტენდენციების დროულ საპასუხო ზომებსა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

წინამდებარე სტრატეგია ითვალისწინებს და აღიარებს ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებს.

საერთაშორისო სახელმძღვანელო სტანდარტები

სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ძირითად საერთაშორისო სტანდარტებზე: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის საერთაშორისო სტანდარტები წამალდამოკიდებულების მკურნალობის თაობაზე; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერო-ს

ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის საერთაშორისო სტანდარტები ნარკოტიკულ საშუალებათა ავადმომხმარებლის პრევენციის თაობაზე; ევროპის ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ხარისხის ევროპული სტანდარტები (EDPQs) და ევროპის საბჭოს დასკვნები ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირების ხარისხის სტანდარტებზე.

ევროკავშირის 2021-2025 წლების სტრატეგია ნარკოტიკების თაობაზე

ევროკავშირის 2021-2025 წლების სტრატეგია ნარკოტიკების თაობაზე და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2021-2025 წლებისათვის ადგენს ნარკოტიკულ საშუალებათა ავადმომხმარებლთა და ვაჭრობით გამოწვეული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკზე საერთო საპასუხო მიდგომებს. სტრატეგია ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც პრიორიტეტულია პოლიტიკის გატარების პროცესში; ასევე, ეყრდნობა ბალანსს ნარკოტიკების მიწოდების შემცირებასა და ნარკოტიკების მოთხოვნის შემცირებას შორის; მულტიდისციპლინური და ინოვაციური მიდგომების მნიშვნელობას; ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობის პრინციპების პატივისცემას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის საჭიროებას.

მდგრადი განვითარების მიზნები

წინამდებარე სტრატეგია ითვალისწინებს და წვლილი შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნების სრულყოფილად შესრულების პროცესში. კერძოდ, მხედველობაში მიიღება მდგრადი განვითარების მე-3 მიზანი – უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მე-16 მიზანი – მშვიდობა, სამართალი და ძლიერი ინსტიტუტები. ამასთან, უფრო ფართო ჭრილში მხედველობაში მიიღება მდგრადი განვითარების მიზანი 1 (სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა), მიზანი 5 (გენდერული თანასწორობა), მიზანი 8 (დასაქმება და ეკონომიკური ზრდა) და მიზანი 10 (უთანასწორობის შემცირება).

ეროვნულ კანონმდებლობასა და სტრატეგიულ დოკუმენტებთან თავსებადობა

სტრატეგია თანხვედრაში მოდის ეროვნულ დონეზე არსებულ კანონმდებლობასთან. ამასთან, თავსებადია სტრატეგიულ დოკუმენტებთან, მათ შორის, ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის 2021-2026 წლების ეროვნულ სტრატეგიასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის 2021-2024 წლების ეროვნულ სტრატეგიასთან. თავის მხრივ, სტრატეგიული დოკუმენტების სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმასთან ამოცანების და აქტივობების ერთმანეთთან გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით.

სიტუაციის ანალიზი

გაერო-ს ნარკოტიკების მსოფლიო ანგარიში აღწერს ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმომხმარებელთა გამოწვეულ შედეგებს. ნივთიერებების მოხმარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს დამოკიდებულების განვითარება, მოხმარებით გამოწვეული დარღვევები და თანმხლები ფსიქიატრიული დაავადებები; შესაძლოა, მოხმარებას მოჰყვეს ზედოზირება, ინფექციური დაავადებების განვითარება (აივ/შიდსი/სიკატი) და სიკვდილი. წამლადამოკიდებულება გავლენას ახდენს ინდივიდთა საგანმანათლებლო და დასაქმების ხარისხსა და მიღწევებზეც, რასაც თან ახლავს ფინანსური გამოწვევები და უფრო ფართოდ გავრცელებული სირთულეები ოჯახისა და საზოგადოების დონეზე.

2020 წლის მონაცემებით, გლობალურად, დაახლოებით, 284-მა მილიონმა 15-დან 64 წლამდე ასაკის ადამიანმა¹ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, რომელთაგან უმრავლესობა იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. კანაფს (209 მლნ), ოპიოიდებს (61 მლნ) და ამფეტამინებს (34 მლნ) ყველაზე მეტი ადამიანი მოიხმარდა მსოფლიოში. ამასთან, ოპიოიდების მოხმარება კვლავ რჩება ჯანმრთელობის მთავარ გამოწვევად. 2019 წელს ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის 69% უკავშირდება ოპიოიდების მოხმარებას². 2021 წლის მდგომარეობით, ევროპაში ზემოთ აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებებია კანაფი (22.2 მლნ), კოკაინი (3.5 მლნ) და მდმა (2.6 მლნ) უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოხმარების კლასიფიკაციის მიხედვით³.

საქართველოში არსებული ნარკოვიტარებისა და ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების შესახებ არსებული მონაცემების დეტალური ანალიზი ასახულია ნარკოვიტარების უახლეს, 2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშებში, რომლებიც ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნულმა ცენტრმა ეროვნული ნარკოვიტარების შესწავლის მიზნით შეისწავლა და შეიმუშავა.

ნარკოტიკების მოხმარება ზოგად მოსახლეობასა და ახალგაზრდებში

მოსახლეობაში ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისა და მახასიათებლების შესწავლის მიზნით საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ნარკოტიკებისა და წამლადამოკიდებულების მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA). თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის კვლევები, რომლებიც თემატური საკითხების სიღრმისეული შესწავლის საშუალებას იძლევა. ამ ქვეთავში წარმოდგენილია EMCDDA-ს მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის შედეგები, რომლებიც იძლევა ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების ზოგადი კონტექსტის დანახვის შესაძლებლობას.

საქართველოში ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესწავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ზოგადი მოსახლეობის კვლევა

¹ დიაპაზონი 185-დან 384 მილიონამდე.

² UNODC, World Drug Report 2022 (United Nations publication, 2022). https://www.unodc.org/res/wdr2022/MS/WDR22_Booklet_2.pdf

³ European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction (2022), European Drug Report 2022: Trends and Developments, Publications Office of the European Union, Luxembourg. <https://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/14644/TDAT22001ENN.pdf>

(GPS), რომელიც ორჯერ ჩატარდა – 2015 და 2022 წლებში. 2022 წლის პირველადი შედეგებით⁴, ქვეყანაში 18-დან 64 წლამდე მოსახლეობის 4.6% მოიხმარდა კანაფს ბოლო 12 თვის განმავლობაში. ანალოგიურ პერიოდში სხვა ნარკოტიკული საშუალებების (ჰეროინი, მეთადონი, ბუპრენორფინი, კოკაინი, ამფეტამინი, კუსტარული სტიმულატორები, მდმა და ლსდ) მოხმარება მერყეობდა 0.1%-დან 0.2%-მდე. GPS, ერთი მხრივ, იძლევა მონაცემების განზოგადებას ზოგად მოსახლეობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ვერ ხერხდება ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების თავისებურებების დეტალური შესწავლა. ამისათვის სხვა დამატებითი ინსტრუმენტები გამოიყენება. ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ევროპული ვებგამოკითხვა ნარკოტიკებზე (EWSD), რომელიც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლების ანონიმურობის სრული დაცვით ნარკოტიკების მოხმარების მახასიათებლებსა და ნარკობაზრის თავისებურებებს სწავლობს. აღნიშნული კვლევა ჩატარდა 2021 წელს, რომელმაც, ძირითადად, მოიცვა ქალაქში მცხოვრები 18-დან 34 წლამდე ახალგაზრდები (80.4%) სექსობრივი თანაფარდობით 3:1. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლებს შორის ბოლო 12 თვეში ყველაზე ხშირად მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებები იყო კანაფი (97.0%), ექსტაზი/მდმა (54.5%) და ლსდ (34.1%). ნარკოტიკულ საშუალებებს, ძირითადად, მოიხმარდნენ სახლში (79.2%), კლუბში/ბარში (65.6%) ან მუსიკალურ ფესტივალებზე/წვეულებებზე (65.3%). აღსანიშნავია, რომ კვლევის მეთოდოლოგია არ იძლევა შედეგების განზოგადებას ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებლების პოპულაციაზე.⁵

სკოლის მოსწავლეებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გავრცელებისა და სხვა მახასიათებლების შესწავლის მიზნით გამოიყენება ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD), რომელიც საქართველოში 2015 და 2019 წლებში ჩატარდა. 2019 წელს ჩატარებულმა კვლევამ 16 წლის მოსწავლეების პასუხები შეაგროვა და ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა მთავარი მიგნებები; კერძოდ, კვლევაში აისახა ალკოჰოლის და თამბაქოს მოხმარების მახასიათებლებთან ერთად მცენარე კანაფის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების აღქმული ხელმისაწვდომობა, მოხმარების გავრცელება და სხვა მახასიათებლები. შედეგად, გამოვლინდა, რომ კანაფზე აღქმული ხელმისაწვდომობა, 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია (21%-დან 25%-მდე); ამასთან, გაზრდილია ან შენარჩუნებულია სხვა ნარკოტიკული საშუალებების (ტრანკვილიზატორები/სედაციური საშუალებები, სინთეზური კანაბინოიდები, კოკაინი, მეტამფეტამინი) აღქმული ხელმისაწვდომობა, გარდა ამფეტამინისა და ექსტაზისა. აღსანიშნავია, რომ გოგობისგან განსხვავებით ბიჭებში უფრო მაღალია აღქმული ხელმისაწვდომობა ნარკოტიკულ საშუალებებზე (გარდა ტრანკვილიზატორებზე/სედაციურ საშუალებებზე). რაც შეეხება მოხმარების გავრცელებას, კანაფი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოიხმარა გამოკითხულ მოსწავლეთა 10%-მა. სიცოცხლის განმავლობაში ექსტაზის მოხმარება, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირდა და შეადგინა 2%, ხოლო დანარჩენი ზემოთ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ აღემატება 1%-ს.⁶

⁴ ზოგადი მოსახლეობის კვლევის (GPS) ანგარიში დამუშავების პროცესშია.

⁵ ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021.

⁶ ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა (ESPAD), 2019.

http://www.espad.org/sites/espad.org/files/2020.3878_EN_04.pdf

ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება

ნარკოტიკების ინიექციურ მოხმარებლებში ნარკოტიკების მოხმარების მახასიათებლების, საინექციო და სქესობრივი სარისკო ქცევების შეფასების მიზნით ჩატარდა შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციართა⁷ და თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებულ ინტერვენციაში მონაწილე ბენეფიციართა შორის რაოდენობრივი კვლევები (თთპდ)⁸. თთპდ ინტერვენციის კვლევა მოიცავს ნარკოტიკების ინიექციურ მოხმარებლებს, რომლებიც არ სარგებლობდნენ ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების სერვისებით, შპრიცებისა და ნემსების გაცვლისა და აივ პრევენციული პროგრამებით ბოლო 12 თვის განმავლობაში, ხოლო შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციარების ქცევის შეფასების კვლევა მოიცავს აღნიშნული პროგრამით და სერვისებით მოსარგებლე ნარკოტიკების ინიექციურ მოხმარებლებს. ორივე კვლევა ბოლოს ჩატარდა 2019 წელს.

თთპდ ინტერვენციის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მამაკაცები უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ნარკოტიკის მოხმარებას, ვიდრე ქალები. ბოლო 30 დღის განმავლობაში რესპონდენტები, საშუალოდ, 13.76 დღე მოიხმარდნენ ნარკოტიკებს ინიექციურად, ხოლო ყველაზე ხშირად ინიექციურად მოხმარებადი ნარკოტიკული საშუალება იყო ჰეროინი/სირეცი (55%). შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციარების ქცევის შეფასების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოლო 30 დღეში ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი იყო, საშუალოდ, 17.72 დღე, ყველაზე ხშირად ინიექციურად მოხმარებადი ნარკოტიკული საშუალება კი, ჰეროინი/სირეცი (58.3%).

ბოლო 30 დღის განმავლობაში ზედოზირების, სულ მცირე, ერთი შემთხვევა აღნიშნა თთპდ ინტერვენციის კვლევის რესპონდენტების 6.3%-მა, ხოლო 3.5%-მა – შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციარების ქცევის შეფასების კვლევიდან.

ზედოზირების მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით თთპდ ინტერვენციის კვლევის რესპონდენტთა ნახევარმა გამოიყენა ნალოქსონი, ხოლო შპრიცების ბენეფიციარების კვლევიდან 74.3%-მა. ამასთან, პირველ შემთხვევაში რესპონდენტების 34%-მა დააფიქსირა საინექციო ინსტრუმენტების გაზიარების ფაქტი, ხოლო მეორე კვლევის შემთხვევაში – რესპონდენტების 15.2%-მა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული

2022 წლის მდგომარეობით, საქართველოში ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სამი ძირითად ჩარჩოვანით: „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი

⁷ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციართა შორის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა

<https://ghrn.ge/img/file/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%9c%e1%83%9e-2019.pdf>

⁸ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებულ ინტერვენციაში მონაწილე ბენეფიციართა შორის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა

<https://ghrn.ge/img/file/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%97%e1%83%97%e1%83%9e%e1%83%93%e1%83%98-2019.pdf>

განსაზღვრავს და ადგენს ნარკოტიკულ საშუალებებთან, ფსიქოტროპულ ნივთიერებებსა და პრეკურსორებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისათვის გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახეებსა და ზომებს.

ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ნარკოვიტარების 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული 2,527 საქმე 2,596 პირის მიმართ, რაც განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების 18%-ს შეადგენს. 2,571 მსჯავრდებულიდან 56.3%-ს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, 15.2%-ს – ჯარიმა, 14.4%-ს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ხოლო 13.8%-ს – თავისუფლების აღკვეთა. საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა განაწილდა სსსკ-ის 3 მუხლზე (260-ე, 265-ე და 273¹).

2019 წელთან შედარებით, 2021 წელს სსსკ-ის 260-ე მუხლით მსჯავრდებული პირების რაოდენობა 38.6%-ით შემცირდა. ამასთან, 273-ე და 273¹ მუხლებით მსჯავრდებული პირების რაოდენობაც კლების ტენდენციით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან კანაფის მოხმარება აღარ არის სისხლისსამართლებრივი დანაშაული. 2021 წელს სსსკ-ის 273-ე და 273¹ მუხლებით მსჯავრდებული პირებიდან მხოლოდ 9 პირს (1.2%) შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

2021 წელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 45¹ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის დადგენილება გამოტანილ იქნა 2,567 პირის მიმართ, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, 34.9%-ით ნაკლებია. შემთხვევათა 94.2%-ში ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა და სიტყვიერი გაფრთხილება. მხოლოდ 2 ადამიანი დაექვემდებარა ადმინისტრაციულ დაკავებას.

ბოლო წლებში აღინიშნებოდა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილი პირების რაოდენობის კლების და დადებითი შედეგის პროცენტული მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია. 2021 წელს 4,225-მა პირმა გაიარა ნარკოლოგიური ტესტირება, რომელთაგან დადებითი პასუხების მაჩვენებელი შეადგენდა 63.6%-ს. ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, 2013 წელს თითქმის 14-ჯერ მეტი იყო შემოწმებაზე გადაყვანილი პირების რაოდენობა, ხოლო დადებითი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 38%-ს.⁹

⁹ ნარკოვიტარების 2021 წლის ანგარიში, ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021.

პრევენცია

პრევენცია

მოსახლეობისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რათა შემცირდეს ქვეყანაში ლეგალური და არალეგალური ფსიქოაქტიური საშუალებების არასამედიცინო მიზნით მოხმარების გავრცელება.

სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კოორდინირებულ და ეფექტიან პრევენციულ ღონისძიებებზე თემის, ოჯახის, სკოლისა და ინდივიდის დონეზე, სადაც ინტერვენციები უზრუნველყოფს ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს შენარჩუნებას.

პრევენციულ ღონისძიებათა თანმიმდევრული მიდგომების დანერგვის მიზნით 2021 წელს საბჭომ დაამტკიცა ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის პირველი ეროვნული სტრატეგია 2021-2026 წლებისათვის (შემდგომ – „პრევენციის სტრატეგია“). პრევენციის სტრატეგიის მთავარი მიზანია, გზა გაუხსნას სტანდარტებზე ორიენტირებულ ერთიან მიდგომებს და, პარალელურად, ამით ხელი შეუწყოს მდგრადი და ყოვლისმომცველი პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

პრევენცია – ძირითადი მიზანი

1 (ა)	ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის 2021-2026 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება.
1 (ბ)	სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რათა შესაძლებელი გახდეს ერთობლივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების გატარება.
1 (გ)	პრევენციული საქმიანობის, როგორც ჯანმრთელობის ეროვნული პრიორიტეტის, ეფექტიანი ადვოკატირება.

1 (ა) 2021-2026 წლების პრევენციის ეროვნული სტრატეგიის მიზნების განხორციელება

პრევენციის სტრატეგიის საფუძველზე პრევენციული მიდგომა ეფუძნება ოთხ ძირითად დონეს:

- **უნივერსალური (პირველადი) პრევენცია**, რომლის სამიზნეა ზოგადი მოსახლეობა, ძირითადად, ახალგაზრდები;
- **მიზანმიმართული (მეორეული) პრევენცია**, რომელიც მიზანმიმართულია მათზე, ვინც ექსპერიმენტულად სცადა ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარება, თუმცა, ჯერ დამოკიდებულება არ ჩამოჰყალიბებია;

- **შერჩევითი პრევენცია**, რომელიც მიზანმიმართულია კონკრეტულად მოწყვლად ჯგუფებზე, რათა შეამციროს რისკის ფაქტორები და მაქსიმალურად გააფართოოს დამცავი ფაქტორები;
- **გარემოზე ორიენტირებული პრევენცია**, რომელიც მიზნად ისახავს რისკის ფაქტორების შემცირებას და დამცავი ფაქტორების გაზრდას.

პრევენციის სტრატეგია, როგორც ექვსწლიანი სამოქმედო პროგრამა, განსაზღვრავს 14 პრიორიტეტულ თემატურ სფეროს, მათ შორის, სკოლაზე დაფუძნებულ მუშაობას; პირველადი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის შემდგომ რგოლებთან პრევენციულ მუშაობას; თემზე დაფუძნებულ პრევენციას; კანონთან კონფლიქტში მყოფ და რთული ქცევის მქონე ბავშვებზე, მოზარდებსა და ახალგაზრდებზე ფოკუსირებას; პრევენციას პენიტენციურ სისტემაში; პრევენციული რეკრეაციული გარემოს შექმნას; სერვისებს მიზანმიმართული და შერჩევითი პრევენციისთვის.

პრევენციის სტრატეგიის იმპლემენტაციის მიზნით შემუშავდა პირველი ორწლიანი – 2022-2023 წლების პრევენციის სამოქმედო გეგმა, რომელიც სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების სამუშაო აქტივობების დონეზე ჩაშლას უზრუნველყოფს.

1 (ბ) სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მიდგომების უზრუნველყოფა

საყოველთაო პრევენცია კვეთს სახელმწიფოს საქმიანობის არაერთ სფეროს, ამიტომ გამართული და კოორდინირებული თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანია მკაფიო პასუხისმგებლობისა და როლების დადგენა და თანმიმდევრული მუშაობა.

პრევენციის ეროვნული სტრატეგია არის მკაფიო ნაბიჯი ამ შეთანხმებული მიდგომის მისაღწევად, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე, თუმცა, მისი განხორციელება მოითხოვს ყველა შესაბამისი თემატური ინსტიტუციის, უწყებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მზაობას, დაიცვან პრევენციის სტრატეგიის მიზნები და როლი საკუთარი პრევენციული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

1 (გ) პრევენციული საქმიანობის, როგორც ჯანმრთელობის ეროვნული პრიორიტეტის, ეფექტიანი ადვოკატირება

პრევენციული მუშაობა მოითხოვს მტკიცებულებებს და პროცესის ადვოკატირებას. ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვა კი ხელს უწყობს სწორი ინტერვენციების გატარებას. ამასთან, ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის (შემდგომ – „ცენტრი“) როლს გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ ინსტიტუციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესში.

პრევენცია - პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები

უნივერსალური პრევენცია

1.1 სასკოლო პრევენციის სახელმძღვანელოზე (და, შესაბამისად, მტკიცებულებაზე) დაფუძნებული პროგრამის დანერგვა.

1.2 პრევენციული განათლება (სხვადასხვა პროფესიისა და სოციალური როლის მქონე ჯგუფებში ჯანსაღი ცხოვრების წესსა და პრევენციაზე ცნობიერების ამაღლება).

მიზანმიმართული პრევენცია

- 1.3** ფსიქოაქტიური ნივთიერებების ექსპერიმენტული მომხმარებლებისათვის მიზანმიმართული პრევენციული სერვისების დანერგვა.

შერჩევითი პრევენცია

- 1.4** კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდებსა და ახალგაზრდებთან და რთული ქცევის მქონე ბავშვებთან, მოზარდებსა და ახალგაზრდებთან დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა (ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების სკრინინგი, საჭიროების შემთხვევაში, პრევენციის მიზანმიმართულ სერვისებში გადამისამართება).

- 1.5** პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში მყოფ მოზარდებთან, ახალგაზრდებსა და მათ მშობლებთან რეციდივის რისკის შემცირებაზე მუშაობა.

გარემოზე ორიენტირებული პრევენცია

- 1.6** ფსიქოაქტიური საშუალებების ასაკობრივი, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის შემცირება და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (იხ. ასევე, პრიორიტეტული სამოქმედო სფერო 4.1 მიწოდების შემცირების თავში).

მკურნალობა და რეაბილიტაცია

მკურნალობა და რეაბილიტაცია

ეფექტიანი და ინტეგრირებული, პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის მხარდაჭერა, რაც რეაბილიტაციის საშუალებას იძლევა.

საქართველოში მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიდგომა სამმხრივია: დეტოქსიკაცია, ოპიოიდების აგონისტებით თერაპია (OAT) და ფსიქოსოციალური ინტერვენციები. წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს, მხარი დაუჭიროს ინდივიდზე ორიენტირებული მკურნალობისა და ზრუნვის გარემოს და, ასევე, უპასუხოს ინდივიდთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საჭიროებებს. შესაბამისად, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სერვისების უზრუნველყოფა.

სტრატეგია ადგენს სამ მკაფიო მიზანს: ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების შეჩერება ან შემცირება; მოწყვლადი ინდივიდის ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება; მომავალში ზიანის თავიდან აცილება რეციდივის რისკის შემცირებით. ამასთან, სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და საჭიროებების გამოვლენა სწორი ინტერვენციების დანერგვისა და გატარების საშუალებას.

სიტუაციის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს EMCDDA-ს მკურნალობაზე მოთხოვნის ინდიკატორიდან (TDI) მიღებული მონაცემების ანალიზისა და თემატური კვლევების შედეგები. 2021 წელს ჩატარებულმა სამკურნალო დაწესებულებათა კვლევამ გამოავლინა რიგი საკითხებისა, რომლებიც გარკვეულ წინააღმდეგობებს ქმნის სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება როგორც სამკურნალო დაწესებულებათა არათანაბარი გეოგრაფიული განაწილება, ისე ზოგიერთ სამკურნალო დაწესებულებებში სერვისების მიუწვდომლობა და ფსიქოსოციალური დახმარების სერვისების მწვავე სიმწირე.

ამასთან, ორი გამოწვევა, რომელთაც ქვეყანა აწყდება, არის ფსიქოსოციალური სერვისების მიწოდების სფეროში ზრუნვის უწყვეტობა და პროგრამების შენარჩუნება ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე.

მკურნალობა და რეაბილიტაცია – ძირითადი მიზნები

- | | |
|-------|---|
| 2 (ა) | ყველასთვის ხელმისაწვდომი ადრეული ჩარევის, ეფექტიანი მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა. |
| 2 (ბ) | სამედიცინო ან ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირთათვის უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა და მართვის გარდამავალი სისტემის დანერგვა. |

2 (ა) ყველასთვის ხელმისაწვდომი ადრეული ჩარევის, ეფექტიანი მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა

UNODC-სა და WHO-ს გლობალური შეფასებით, საუკეთესო შემთხვევაში, ექვსიდან მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს წვდომა ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების სამკურნალო პროგრამებზე – ხშირად მკურნალობა მხოლოდ დიდ ქალაქებშია შესაძლებელი. ჯანდაცვის სერვისების საყოველთაო მოცვის მიდგომა ისევე უნდა იყოს გამოყენებული ნარკოტიკების მომხმარებელთა და წამალდამოკიდებულთა დასახმარებლად, როგორც ეს ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის ნებისმიერი სხვა მდგომარეობის მქონე პირთათვის. წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს ეფექტიანი სამკურნალო და სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდების მხარდაჭერას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ამასთან, სტრატეგიის მიზანია, ერთი მხრივ, უზრუნველყოს სერვისების ხელმისაწვდომობა და, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს პროგრამების მოცულობის გაზრდას და გეოგრაფიულ გავრცელებას.

2 (ბ) სამედიცინო ან ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირთათვის უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა და მართვის გარდამავალი სისტემის დანერგვა

გრძელვადიანი და უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა, განსხვავებით ერთი ეპიზოდური მკურნალობისგან, დადასტურებულია, რომ წამალდამოკიდებულების მართვის ეფექტიანი საშუალებაა. ზემოაღნიშნული საჭიროებს სწორ მართვასა და შესაბამის რესურსს, რათა ბენეფიციართა საჭიროებები დაკმაყოფილდეს მათი ცხოვრებისეული გარემოებების გათვალისწინებით (მაგალითად, პენიტენციურ დაწესებულებაში ან მის გარეთ, ოჯახურ გარემოებებში ან სხვა). ანალოგიურად, მნიშვნელოვანია სისტემებს შორის გარდამავალი მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სერვისის მიმწოდებელ სისტემებს შორის გარდამავალი მართვის პროცესს და პროგრამათა უწყვეტობას. მაგალითისათვის, პენიტენციურ, პრობაციის და ჯანდაცვის სისტემებს შორის, წამალდამოკიდებულ პირთათვის გარდამავალი ზრუნვის დანერგილი სისტემა. ანალოგიურად, პაციენტს, რომელიც ჩართულია ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობის პროცესში, ესაჭიროება მკურნალობის უწყვეტად გაგრძელება, დახურულ დაწესებულებაში მოხვედრის ან დახურული დაწესებულებიდან საზოგადოებაში დაბრუნების თანმიმდევრულად.

მკურნალობა და რეაბილიტაცია - ძირითადი სამოქმედო სფეროები

2.1	სამკურნალო და ფსიქოსოციალურ სერვისებზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გეოგრაფიული მოცვის გაზრდა, მათ შორის, პირთა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.
2.2	ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფა მომსახურების მიმწოდებელთა ეფექტიანი ინტეგრაციის გზით.
2.3	ბენეფიციართათვის სერვისების ათვისების გაზრდა და გენდერულ და სტიგმასთან დაკავშირებული ბარიერების შემცირებაზე მუშაობა.

2.4	სოციალური ზრუნვისა და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფა მაღალი რისკის ჯგუფებისათვის, განსაკუთრებით, პენიტენციური სისტემიდან გამოსვლის ეტაპზე.
2.5	ეფექტიანი და მოქნილი მართვის გარდამავალი სისტემის დანერგვა.
2.6	სამკურნალო და ფსიქოსოციალურ სერვისებზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, პირთა პენიტენციურ სისტემაში განთავსების პერიოდში.

ზიანის შემცირება

ზიანის შემცირება

რისკის ფაქტორების შემცირება, ზრუნვისა და მხარდამჭერი გარემოს შექმნა, რაც ნარკოტიკულ საშუალებათა მაღალი რისკის მომხმარებელთათვის ჯანმრთელ და მეტად პროდუქტიულ საცხოვრებელ გარემოს ქმნის.

ზიანის შემცირება შეიძლება მარტივად ფოკუსირდეს შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამებზე, რომლებიც, შესაბამისად, მიმართული იქნება ზიანის შემცირების მხოლოდ ერთ კონკრეტულ მეთოდზე, თუმცა, პროგრამები საჭიროებს უფრო დახვეწილ მიდგომებს, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოიყენებს ზიანის შემცირების ყველა მეთოდს და, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების კარგად ინტეგრირებული სისტემების და პროგრამების მნიშვნელობას და სარგებელს. მაგალითად, ოათ პროგრამების განხორციელების შედეგად მცირდება ზიანი, კერძოდ, აივ-ის და სისხლით გადამდები სხვა ინფექციების გავრცელების რისკი (შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამებთან ერთად), მცირდება საფრთხის შემცველი სექსობრივი სარისკო ქცევები; ზედოზირების რისკი და ნარკოტიკების ავადმომხმარებლისა და კრიმინალურ საქმიანობაში ჩართვის რისკი.

მართალია, პრევენციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მიწოდების შემცირების ეფექტიანი პროგრამების შედეგად მცირდება ზიანი, თუმცა, აღნიშნული პროგრამები შესაძლოა, არ ფარავდეს ყველა სამიზნე ჯგუფს. მაგალითად, ადამიანებს, რომლებსაც მცირე ან არანაირი კავშირი აქვთ პრევენციის აქტივობებთან; ისინი, ვისაც არ სურს, რომ მიმართოს სამკურნალო დაწესებულებებს, ან ისინი, ვისაც რეციდივის ხშირი შემთხვევები აქვს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საჭიროების მქონე პირთა სწორი ინფორმირება და კონსულტირება ნარკოტიკების ავადმომხმარებელი გამოწვეულ ფიზიკურ და ფსიქოსოციალურ რისკზე, მათ შორის, ინფექციურ დაავადებებზე, ზედოზირების რისკზე და სხვა.

ამასთან, მნიშვნელოვანია ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამების ხელმისაწვდომობა, ზედოზირების მართვის მიზნით საჭირო სამედიცინო და სასწრაფო დახმარების საშუალებების ხელმისაწვდომობა; აივ-ზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება (VCT) და ანტირეტროვირუსული მკურნალობის ხელმისაწვდომობა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებისთვის, რომლებიც, ამავე დროს, არიან აივ ინფიცირებულნი.

სტრატეგია მხედველობაში იღებს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების მიმართ შესაძლო სტიგმისა და დისკრიმინაციის რისკს, რამაც შესაძლოა, შეაფერხოს მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა და უარყოფითად იმოქმედოს რეაბილიტაციაზე.

სტრატეგია ძალისხმევას მიმართავს ცნობიერების ამაღლების საჭიროებებზე, არამასტიგმატიზირებელი დამოკიდებულების ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ღონისძიებებზე.

ზიანის შემცირება - ძირითადი მიზნები

3 (ა)	ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევების შემცირება.
3 (ბ)	ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების გავრცელებისას და ახალი შემთხვევების რაოდენობის შემცირება ზიანის შემცირების ეფექტიანი პროგრამების, კონსულტირებისა და რეფერალური სისტემის მეშვეობით.
3 (გ)	ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირება მკურნალობაში ჩართვის და მხარდაჭერის გზით; ასევე, მათი რეაბილიტაციის შედეგების გაუმჯობესებით.
3 (დ)	ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
3 (ე)	ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლების მოცვის, ზიანის შემცირებისა და მკურნალობის მდგრადი მიზნების მიღწევის მიზნით ზიანის შემცირების პროგრამებში მკურნალობის პროგრამების ინტეგრირება.

3 (ა) ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევების შემცირება

2017 წლის ავადობის გლობალური ტვირთის კვლევამ გამოავლინა¹⁰, რომ ათწლეულის განმავლობაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის საერთო რაოდენობა გაიზარდა, ზრდის ძირითადი მიზეზია ოპიოიდების ავადმომხმარება (71%-ით გაიზარდა). ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილის შესახებ მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგია კომპლექსურია. სტრატეგია მიზნად ისახავს აღნიშნულ ინდიკატორზე მონაცემების შეგროვების სტანდარტიზებას და გაუმჯობესებას, რითაც შესაძლებელი გახდება გამოწვევის დეტალური სურათის დანახვა და მათ აღმოფხვრაზე მუშაობა.

მნიშვნელოვანია, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა შორის ცნობიერების ამაღლება ნარკოტიკების მოხმარების რისკთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ზედოზირების რისკი დიდია (მაგალითად, სხვადასხვა ნარკოტიკის ერთდროულად მოხმარება ან/და ალკოჰოლთან შერევა). ოპიოიდების მომხმარებლებისთვის მკურნალობის და რეაბილიტაციის მიზნები მოიცავს ზიანის შემცირების ხელშეწყობას, მათ შორის, ოათ პროგრამების გაფართოებას და საჭიროების მქონე პირებისთვის სერვისების მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; ნალოქსონის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით, მათთვის, ვინც დეტოქსიკაციის შემდეგ ზედოზირების რისკის წინაშეა.

¹⁰ Institute for Health Metrics and Evaluation, 'Global Burden of Disease Study 2017 (GBD 2017) Data Resources: GBD Results Tools', 2018. Cited in World Drug Report 2020 (United Nations publication, Sales No. E.20.XI.6), booklet 2, (p36)

https://wdr.unodc.org/uploads/wdr2020/documents/WDR20_Booklet_2.pdf

3 (ბ) ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებების გავრცელების გავლენის და ახალი შემთხვევების რაოდენობის შემცირება ზიანის შემცირების ეფექტიანი პროგრამების, კონსულტირებისა და რეფერალური სისტემის მეშვეობით შპრიცებისა და ნემსების გაზიარებით იზრდება სისხლის გზით გადამდები დაავადებების ახალი შემთხვევების რაოდენობა (აივ, B და C ჰეპატიტი), ხოლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს შპრიცებისა და ნემსების გაცვლას, ამცირებს აღნიშნული ინფექციების გავრცელების დონეს. მიუხედავად პროგრამების ეფექტიანობისა, შპრიცებისა და ნემსების გაზიარება მანამ იქნება მიმდინარე გამოწვევა, სანამ გაგრძელდება ნარკოტიკების ინიექციური მოხმარება. ამ მიმართულებით, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ინფექციური დაავადების შედეგებისა და ახალი შემთხვევების საპასუხო ზომებთან დაკავშირებით, რეკომენდაციები მოიცავს წამალდამოკიდებულთა სამკურნალო პროგრამების უწყვეტობის შენარჩუნებას; შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს სტერილური მასალის მიწოდებას ნარკოტიკების ინიექციური მომხმარებლებისთვის; აივ-ზე, C ჰეპატიტსა (B ჰეპატიტზეც არავაქცინირებულ პირებში) და სხვა ინფექციებზე, მათ შორის, ტუბერკულოზზე რუტინული ტესტირების შენარჩუნებას; პროაქტიული, მრავალკომპონენტური მიდგომების შემუშავებას, რომელიც მორგებული იქნება მომხმარებლის საჭიროებებსა და ადგილობრივ პირობებზე.

3 (გ) ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირება მკურნალობაში ჩართვისა და მხარდაჭერის გზით; ასევე, მათი რეაბილიტაციის შედეგების გაუმჯობესება

თემატური კვლევები აჩვენებს, რომ ნარკოტიკების პრობლემური მომხმარებლის სტატუსი სტიგმატიზებულია და წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ წყაროს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებელთა ან/და წამალდამოკიდებულთა საზოგადოებასთან ურთიერთობის ასპექტებზე და ქმნის ბარიერს სოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში.

შესაბამისად, დაბალანსებული და ადამიანის უფლებების დაცვაზე დამყარებული მიდგომების მიზანს წარმოადგენს გაუცხოებისა და სტიგმატიზაციის მინიმუმამდე შემცირება და აღმოფხვრა. სტრატეგია მიზნად ისახავს, ორი მნიშვნელოვანი მიმართულების გაძლიერებით გაუმკლავდეს აღნიშნულ გამოწვევებს, კერძოდ:

- 1) საზოგადოებაში სტიგმის დაძლიერებისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულების შემცირებისკენ მიმართული საგანმანათლებლო ღონისძიებების მხარდაჭერა და გაძლიერება;
- 2) დისკრიმინაციის შემცირების მიზნით ცნობიერების ამაღლება საკვანძო ჯგუფებში (სამართალდამცავი ორგანოები, მოსამართლეები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჯანდაცვის პერსონალი).

3 (დ) ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული საზიანო ეფექტი მერყეობს კრუნჩხვებიდან ემოციურ აშლილობამდე, აგრესიამდე, მწვავე ფსიქოზამდე და დამოკიდებულების პოტენციურ განვითარებამდე.

აფნ-ების მომხმარებლები ხშირად ჰოსპიტალიზირებულნი არიან მწვავე ინტოქსიკაციებით.¹¹ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ავადობის საერთაშორისო კლასიფიკატორში (ICD-10) ტერმინი „ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული აშლილობა“ გულისხმობს ნარკოტიკების მოხმარების საზიანო მახასიათებლებს, რომელიც განიმარტება, როგორც ნარკოტიკების უწყვეტად, განმეორებით, ხშირად მოხმარების თავისებურებები, რომლებსაც შეუძლია, ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას მიაყენოს კლინიკურად მნიშვნელოვანი ზიანი.¹²

აღნიშნული სფეროს მხარდაჭერის მიზნით სტრატეგია მიზნად ისახავს შესაბამისი ორგანოების თანამშრომლობის გაძლიერებას თემატურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, EMCDDA-თან და ევროპის ადრეული გაფრთხილების სისტემის (Early Warning System) დანერგვასა და ამოქმედებას ეროვნულ დონეზე, რათა გაუმჯობესდეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ჯანმრთელობისა და სოციალური საფრთხეების საპასუხო ზომები და მათზე რეაგირების შესაძლებლობები; ამასთან, შემცირდეს აფნ-ების გავრცელებით მიღებული ზიანი. სტრატეგიის მიზანია თემატური და კლინიკური სახელმძღვანელო დოკუმენტების იმპლემენტაციაც, რათა გაუმჯობესდეს ზიანის შემცირების ზომები აფნ-ების ქრონიკული და მწვავე მოხმარების დროს.

3 (ე) ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლების მოვლის, ზიანის შემცირებისა და მკურნალობის მდგრადი მიზნების მიღწევის მიზნით ზიანის შემცირების პროგრამებში სამკურნალო პროგრამების ინტეგრირება.

ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლების საჭირო სერვისებით უზრუნველყოფისას მნიშვნელოვანია აღნიშნული ჯგუფის მიმართ არსებული სტიგმის გათვალისწინება, რადგან რიგ შემთხვევებში წარმოადგენს ზიანის შემცირების და მკურნალობის მდგრადი შედეგების მიღწევს ბარიერს. აღნიშნულ პოპულაციაში ჩატარებული კვლევების შედეგად ვლინდება, რომ ნარკოტიკების მაღალი რისკის მომხმარებლებისთვის რიგ შემთხვევებში უფრო ხელსაყრელია სკრინინგტესტირება ან/და მკურნალობის მიღება ზიანის შემცირების პროგრამებისა და სერვისების განმახორციელებელ დაწესებულებებში, სამკურნალო დაწესებულებებთან შედარებით^{13,14}. მნიშვნელოვანია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ზიანის შემცირების დაწესებულებებში ინტეგრირდეს სპეციფიკური სამკურნალო

¹¹ UNODC Early Warning Advisory on NPS <https://www.unodc.org/LSS/Page/NPS>

¹² International standards for the treatment of drug use disorders: revised edition incorporating results of field-testing (pp12). Geneva: World Health Organization and United Nations Office on Drugs and Crime; 2020. License: CC BY-NC-SA 3.0 IGO. <https://www.who.int/publications/i/item/international-standards-for-the-treatment-of-drug-use-disorders>

¹³ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - შპრიცებისა და ნემსების პროგრამის ბენეფიციართა შორის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა <https://ghrn.ge/img/file/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%a8%e1%83%9c%e1%83%9e-2019.pdf>

¹⁴ ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი - თანასწორი-თანასწორს პრინციპზე დაფუძნებულ ინტერვენციაში მონაწილე ბენეფიციართა შორის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა <https://ghrn.ge/img/file/%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%97%e1%83%97%e1%83%9e%e1%83%93%e1%83%98-2019.pdf>

პროგრამები და სერვისები ნარკოტიკული საშუალებების მაღალი რისკის მომხმარებლებისთვის შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფისა და მოცვის გაფართოების მიზნით.

ზიანის შემცირება - პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები	
3.1	სამართალდამცავი ორგანოების, ჯანდაცვის პერსონალისა და თანასწორი სავლე/Outreach მუშაკების ცნობიერების ამაღლება ზიანის შემცირების პროგრამებსა და მათ ეფექტიანობაზე.
3.2	კლუბური ნარკოტიკებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული მწვავე და ქრონიკული ზიანის მართვის სახელმძღვანელოების შემუშავება, დამტკიცება და მისი შემდგომი გამოყენება.
3.3	ევროკავშირთან თანამშრომლობა ზიანის შემცირების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მიზნით, მათ შორის, მონაცემების შეგროვების საკითხებზე, რათა გაუმჯობესდეს მიზანმიმართული პროგრამები და სერვისები.
3.4	შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამების შენარჩუნება და გაფართოება ეროვნულ დონეზე გეოგრაფიული მოცვის უზრუნველყოფის მიზნით.
3.5	სარისკო ქცევებზე კონსულტირებისა და ნალოქსონის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გაფართოება ეროვნულ დონეზე ყველა მოწყვლადი ჯგუფის მოცვის მიზნით.
3.6	სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი თემატური ღონისძიებების გატარება.

მიწოდების შემცირება

მიწოდების შემცირება

ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ხელმისაწვდომობის კონტროლი და ფარმაცევტული პროდუქტების არასამედიცინო მიზნით მოხმარების შემცირება.

სტრატეგია მოიცავს ნარკოტიკების მიწოდების შემცირების როგორც ქვეყნის შიგნით გავრცელებასთან, ისე საერთაშორისო გადაზიდვებთან გამკლავების საკითხებს. ვინაიდან მიწოდების ჯაჭვში ხშირად ჩართული არიან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ნარკოტიკების არალეგალური გავრცელება განიხილება როგორც უსაფრთხოების საკითხი. ნარკოტიკების ბაზრის გავლენა საზოგადოებაზე მოიცავს შემოსავლებს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის; კრიმინალსა და ტერორიზმთან დაკავშირებულ ქმედებებს; ეკონომიკისა და მოსახლეობის განვითარების პოტენციალზე უარყოფით გავლენას, კორუფციას და კარგი მმართველობის შეფერხებას.

აქედან გამომდინარე, პრიორიტეტად განისაზღვრება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებასთან გამკლავება, ხოლო ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი განხილულ უნდა იქნეს ჯანდაცვის პერსპექტივიდან.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, სავაჭრო და ტრანზიტული ნაკადების შემცირება საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას სამართალდაცვით უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მიდგომის გამოყენებით.

მიწოდების შემცირება - ძირითადი მიზნები

- | | |
|-------|---|
| 4 (ა) | სამართალდამცავი უწყებების ძალისხმევის ფოკუსირება ნარკოტიკების გასაღებისა და მიწოდების მეთოდების აღმოფხვრაზე, მათ შორის, ფოკუსირება ნარკოტიკული დანაშაულიდან მიღებულ შემოსავლებზე. |
| 4 (ბ) | ნარკოტიკული საშუალებებისა და მათი პრეკურსორების საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობასთან გამკლავების მიზნით პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. |
| 4 (გ) | ლეგალური ფარმაცევტული საშუალებების არალეგალურ ბაზარზე მოხვედრის შემცირება. |

4 (ა) სამართალდამცავი უწყებების ძალისხმევის ფოკუსირება ნარკოტიკების გასაღებისა და მიწოდების მეთოდების აღმოფხვრაზე, მათ შორის, ფოკუსირება ნარკოტიკული დანაშაულიდან მიღებულ შემოსავლებზე

სტრატეგია მხედველობაში იღებს მოქნილი და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მნიშვნელობას, რომელიც ფოკუსირებულია გასაღებისა და არალეგალური ვაჭრობის კომპონენტებზე.

ამასთან, სტრატეგიული მიდგომების მიზანია, გაიზარდოს ძალისხმევა ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური გასაღებით მიღებული შემოსავლის კონფისკაციაზე; ამასთან, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნით გაგრძელდეს და გაძლიერდეს თანამშრომლობა თემატურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

4 (ბ) ნარკოტიკული საშუალებებისა და მათი პრეკურსორების საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობასთან გამკლავების მიზნით პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

სტრატეგია საპოლიციო საქმიანობის პრინციპების შესაბამისად მხედველობაში იღებს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საზღვრების შემოწმებისათვის ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორც არის ფიზიკური შემოწმება, ტექნოლოგიური საშუალებები და რისკის ანალიზის ინსტრუმენტები. სტრატეგიის ფარგლებში ყველა რელევანტური უწყება ჩართულია ერთობლივი მუშაობისა და ინფორმაციის გაზიარების პროცესში, რაც მრავალსექტორული რესურსების გამოყენების გზით რისკის შეფასების საშუალებას იძლევა.

აღნიშნული მიდგომის მიზანია, გაწვევითოს ნარკოტიკებით არალეგალური საერთაშორისო ვაჭრობის ჯაჭვი, რათა საქართველოს გავლით არალეგალური ნარკოტიკული საშუალებები არ მოხვდეს სხვა ქვეყნებში. სტრატეგიის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია გაერო-ს 1988 წლის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების არალეგალური ვაჭრობის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხებზე, ასევე, გამოძიების სათანადო ზომების გატარების პროცესში კონტინენტების კონტროლის პროგრამასთან ეფექტიანი თანამშრომლობის საკითხებზე. ამასთან, სტრატეგია მხედველობაში იღებს ორმხრივ და მრავალმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციასთან, ევროპოლსა და UNODC-თან.

4 (გ) ლეგალური ფარმაცევტული საშუალებების არალეგალურ ბაზარზე მოხვედრის შემცირება

არსებობს ლეგალური ნარკოტიკული საშუალებების არალეგალურ ბაზარზე მოხვედრის საფრთხეები, მაგალითად, მედიკამენტების, რომლებიც გამოიყენება ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიაში ან ის ფსიქოტროპული საშუალებები, რომლებიც ექიმის დანიშნულებით მოიხმარება. აღნიშნულ საფრთხეებთან გამკლავების მიზნით სახელმწიფოს სტრატეგიული მიდგომა უკავშირდება საჯარო და კერძო ფარმაცევტული და სამკურნალო დაწესებულებების და მათთან ასოცირებული პროგრამების სათანადო რეგულირებას და მონიტორინგს.

სტრატეგია აღიარებს კონტროლის იმ მექანიზმების დანერგვის საჭიროებას, რომლებიც ეფექტიანად უზრუნველყოფს მედიკამენტების არასამედიცინო დანიშნულებით გავრცელებისა და მოხმარების თავიდან აცილებას.

მიწოდების შემცირება - პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები

- | | |
|-----|--|
| 4.1 | ინტერნეტით/ე.წ. დარქნეტით და ტელეფონის აპლიკაციების გამოყენებით ნარკოტიკების არალეგალურ მიწოდებასთან გამკლავება. |
| 4.2 | ქვეყნის ტერიტორიის გავლით ნარკოტიკულ საშუალებათა და მათი პრეკურსორებით საერთაშორისო ვაჭრობასთან გამკლავების მიზნით საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება. |
| 4.3 | ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდების ეფექტიანი რეგულირება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს სამკურნალო მიზნებისთვის განკუთვნილი მედიკამენტების არალეგალურ ბაზარზე მოხვედრა. |
| 4.4 | ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების არალეგალური ბრუნვის შემცირება. |

სტრატეგიის განმახორციელებლები/დაინტერესებული მხარეები

სტრატეგიის განმახორციელებლები/დაინტერესებული მხარეები

სტრატეგიის ეფექტიანი შესრულება დამოკიდებულია სათანადო მექანიზმებისა და სამართლებრივი ჩარჩოს არსებობაზე, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და ღონისძიებების გატარების გზით მიიღწევა.

სტრატეგიის ეფექტიანი შესრულება ძირეული ფაქტორების გათვალისწინებითა და სტრატეგიის სამუშაო ინსტრუმენტების იმპლემენტაციით არის შესაძლებელი.

სტრატეგიის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე მხედველობაში მიიღება სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მიიღწევა პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, მაღალი სანდოობის მქონე მტკიცებულებების მოპოვების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მჭიდრო თანამშრომლობისა და საკმარისი რესურსის მობილიზების გზით.

სტრატეგიის განმახორციელებლები/დაინტერესებული მხარეები – ძირითადი მიზნები

5 (ა)	ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, როგორც მაკოორდინირებელი რგოლის, ფუნქციების მხარდაჭერა.
5 (ბ)	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გაძლიერება და შესაძლებლობათა გაზრდა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სანდო მტკიცებულებების წარმოების მიზნით.
5 (გ)	ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.
5 (დ)	საკანონმდებლო ბაზის გადახედვა ლიბერალური მიდგომების გატარებისა და სასჯელის ალტერნატიული სახეების გამოყენების მიზნით.
5 (ე)	სამოქალაქო და საერთაშორისო სექტორთან მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება.

5 (ა) ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს, როგორც მაკოორდინირებელი რგოლის, ფუნქციების მხარდაჭერა

ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მნიშვნელოვანი მექანიზმია რელევანტური სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების (თემატური ჯგუფების) და ექსპერტების ერთობლივი ჩართულობისა და კოორდინირებული მუშაობისათვის. სტრატეგიის განხორციელებისა და გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების მიზნით აღნიშნული სამუშაო მოდელის ეფექტიანობა გამოიხატება სხვადასხვა მიმართულების შეხედულებების შეჯერებითა და საერთო სამოქმედო გეგმის შედგენით.

ამასთან, სტრატეგია აღიარებს მისი შესრულებისა და განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას, რომელიც სახელმწიფო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის აქტიურ თანამშრომლობას გულისხმობს არა მხოლოდ სტრატეგიის დაგეგმვის ეტაპზე, არამედ მისი იმპლემენტაციის პროცესშიც.

5 (ბ) ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გაძლიერება და შესაძლებლობათა გაზრდა დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სანდო მტკიცებულებების წარმოების მიზნით

პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალი სანდოობის მქონე მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა. სტრატეგია მხარს უჭერს მიდგომებს, რომლებიც არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან არის ჰარმონიზებული, არამედ ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკას და გამყარებულია მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებით.¹⁵ საკვანძო საკითხებში პოლიტიკისა და ცვლილებების გატარებისას არსებითია, გათვალისწინებულ იქნეს თემატური კვლევების შედეგები, მათ შორის, ისეთი კვლევების, რომლებიც შეისწავლის ნარკოტიკული საშუალებების ხელმისაწვდომობას, გავრცელებას, მომხმარებელთა ქცევას, მათ მიმართ არსებულ შესაძლო სტიგმას, სამკურნალო და ზიანის შემცირების სერვისებს და სხვა საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს შედარებადი მონაცემების შექმნას და პროცესის ადეკვატურ შეფასებას.

ამ მიზნით 2020 წლის იანვარში საქართველოში შექმნილი ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს თემატური ინფორმაციის შეგროვებას, მონაცემთა ანალიზს, მონიტორინგისა და კვლევითი აქტივობების დაგეგმვას, ცენტრის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და ეროვნული საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და იმპლემენტაციის ზედამხედველობას.

ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის საქმიანობა წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და EMCDDA-თან მჭიდრო თანამშრომლობით. ასეთი ტიპის ურთიერთობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით ცენტრის შესაძლებლობათა და ინსტიტუციური გაძლიერების პროცესში.

ცენტრის თემატურ კვლევებსა და ანგარიშებს, ასევე, გამოვლენილ ტენდენციებს ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიმღებ და პოლიტიკის გამტარებელ პირთა ინფორმირების მიზნით. ამდენად, ამ პროცესში მნიშვნელოვანია საბჭოს როლი, რათა ნარკოვითარების ყოველწლიური ანგარიშების ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც გაიცემა ინფორმაციის შეგროვების გაუმჯობესებისა და სხვა თემატური მიმართულებებით არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, შესაბამისად იქნეს იმპლემენტირებული.

¹⁵ European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction Inter-American Drug Abuse Control Commission of the Organization of American States: Building a national drugs observatory: a joint handbook (pp15-16) Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities 2010 https://www.emcdda.europa.eu/system/files/publications/581/EMCDDA-NDO-handbook-en_237120.pdf

5 (გ) ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემა

2021 წელს შეიქმნა ნარკოვიტარების ეროვნული საინფორმაციო სისტემა (შემდგომ – „სისტემა“), რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარების მონიტორინგის კომპლექსურ ინსტრუმენტს. მისი მიზანია მონაცემების შეგროვება, ანალიზი, სინთეზი და ინტერპრეტირება, აგრეთვე, ინფორმაციის გავრცელება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; მონაცემების შეგროვებისას იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, EMCDDA-ს მიერ შემუშავებულ ძირითად ეპიდემიოლოგიურ და მიწოდების შემცირების ინდიკატორებს. ამასთან, სისტემა აერთიანებს ქვეყანაში არსებულ ყველა თემატურ სახელმწიფო უწყებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას.

სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციას ახდენს ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი მის ქსელ(ებ)თან ერთად, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და ამზადებს ანგარიშებს ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარების შესახებ, გამოიყენოს და გააერთიანოს სხვადასხვა მეთოდი და მონაცემთა წყარო, რომლებიც ხელმისაწვდომია აღნიშნულ სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულებისა და პარტნიორის მხრიდან.

ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის შექმნის პარალელურად, შემუშავდა 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა (NAPDIS)¹⁶. მასში გაიწერა ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება და აქტივობა, რომლებიც უკავშირდება ნარკოვიტარებასთან მიმართებით ინფორმაციის შეგროვებას. სამოქმედო გეგმის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგების საფუძველზე მოსალოდნელია:

- სისტემაში კოორდინაციის, კომუნიკაციისა და კავშირის მექანიზმების ჩამოყალიბება/გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული და ყოვლისმომცველი სურათის დანახვა ქვეყანაში არსებული ნარკოვიტარების შესახებ;
- მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, გამოკითხვებისა და კვლევების გაუმჯობესება, მონაცემების მზარდი ხელმისაწვდომობა სფეროში არსებულ საკვანძო ინდიკატორებზე;
- საქართველოში არსებული ნარკოვიტარების შესახებ შედეგების გამოქვეყნება, წლიური ანგარიშები ნარკოვიტარების შესახებ და ცალკეული სპეციალური ანგარიშები.

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება, ერთი მხრივ, ნარკოპოლიტიკის და ნარკოსტრატეგიის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა შეგროვებული მტკიცებულებების საფუძველზე, და, მეორე მხრივ, ნარკოპოლიტიკის უკეთ შეფასების შესაძლებლობას როგორც ლოკალურ, ისე სახელმწიფო დონეზე.

5 (დ) საკანონმდებლო ბაზის გადახედვა ლიბერალური მიდგომების გატარებისა და სასჯელის ალტერნატიული სახეების გამოყენების მიზნით

სტრატეგია მიზნად ისახავს კომპლექსური მიდგომის გატარებას, აღნიშნული მიდგომები კი, უნდა იქნეს გამყარებული შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლებითა და არსებული ვითარების ანალიზით. პროცესში მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს პარლამენტის როლიც, რომელთა ჩართულობით

¹⁶ ნარკოვიტარების საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა (NAPDIS), 2021. <https://justice.gov.ge/files/FIbVyDDAgwXw.pdf>.

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო გარემო და ბალანსის შენარჩუნება წარმოადგენს სტრატეგიული მიდგომის ამოსავალ წერტილს. მათ შორის, სტრატეგია მიზნად ისახავს სასჯელის ალტერნატიული ზომების შემოღების მიზნით კოორდინირებული თანამშრომლობისა და მსჯელობის დაწყების საჭიროებას.

5 (ე) სამოქალაქო და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება

ნარკოტიკების პრობლემური მოხმარება და მასთან დაკავშირებული კრიმინალური ქმედებები არ წარმოადგენს მხოლოდ ეროვნულ გამოწვევას და ის საერთაშორისო მასშტაბის შეშფოთების საგანია. ამდენად, ყველა ქვეყნის, რეგიონისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და თანამშრომლობას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი, მათ შორის, საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, ახალი მიდგომების გაცნობისა და ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების კუთხით.

ცხადია, ამ პროცესში სტრატეგია აღიარებს როგორც ეროვნულ დონეზე სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის საჭიროებასა და მნიშვნელობას, ისე საერთაშორისო დონეზე პარტნიორ სახელმწიფოებთან თუ ორგანიზაციებთან გაძლიერებულ თანამშრომლობას. მათ შორის, საქართველო გააგრძელებს სამუშაო ურთიერთობების განვითარებას EMCDDA-თან, ევროპოლთან, ევროჯასტთან, ევროპის საბჭოს ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების საერთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფთან (პომპიდუ ჯგუფი), ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებსა და გაერო-ს თემატურ ორგანოებთან (UNODC, CND, INCB) და სხვა.

სტრატეგია ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სტრატეგიული ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელებას, რათა პოლიტიკის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული და წარმოდგენილი იყოს ყველა დაინტერესებული მხარის ხედვა.

პოლიტიკის დახვეწა და ნარკოვითარების მონიტორინგი და შეფასება - პრიორიტეტული სამოქმედო სფეროები	
5.1	პოლიტიკის განვითარება, კოორდინაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა.
5.2	ნარკოვითარების მონიტორინგის სისტემის მუდმივ რეჟიმში დახვეწა და თემატური კვლევებისა და ანგარიშების მომზადება.
5.3	ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის რესურსების კონსოლიდაცია, მონაცემთა შეგროვების, კვლევების, ანალიზისა და ანგარიშების მომზადების მიზნით შესაძლებლობათა გაძლიერება.

მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელებისა და იმპლემენტაციის ეტაპზე მონიტორინგისა და შეფასების მიმართულება ეყრდნობა და მოიცავს მონაცემთა შეგროვების პროცესს, ობიექტური, ფაქტობრივი, სარწმუნო და შედარებადი მტკიცებულებების/მონაცემთა დამუშავებას.

მონაცემები ქვეყანაში არსებული ვითარების შეფასების მიზნით გროვდება როგორც EMCDDA-ს ხუთ საკვანძო ეპიდემიოლოგიურ, ისე დამატებით ინდიკატორზე:

- ნარკოტიკების მოხმარების მახასიათებლები და გავრცელება;
- ნარკოტიკების მაღალი რისკის მოხმარება;
- მკურნალობაზე მოთხოვნა;
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი და სიკვდილობა;
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინფექციური დაავადებები;
- ნარკოტიკების მიწოდების შემცირების ინდიკატორები.

ცენტრის ფუნქციონირებას და თემატური კვლევების ჩატარებას გადამწყვეტი როლი ენიჭება სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნის ნარკოვითარების ყოველწლიურ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია საქართველოში ერთი წლის განმავლობაში არსებული ნარკოვითარების თაობაზე. როგორც რუტინული, ისე საჭიროების მიხედვით ჩატარებული თემატური კვლევები იძლევა საშუალებას, შეფასდეს სტრატეგიის სხვადასხვა მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა და დროულად მოხდეს იმპლემენტაციისა და განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების იდენტიფიცირება.

ცენტრისათვის მინიჭებული ფუნქციები და ანალიტიკური კვლევების შედეგები საშუალებას იძლევა, სხვადასხვა პერიოდში წარმოქმნილ გამოწვევებზე მოხდეს მყისიერი რეაგირება და მოქნილი მექანიზმით შესაძლებელი გახდეს მათი შესწავლა. ვინაიდან აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სტრატეგიის იმპლემენტაციას, სტრატეგია, თავის მხრივ, მხარს უჭერს ნარკოვითარების მონიტორინგის ცენტრის ფუნქციას, უზრუნველყოს მონაცემთა მიმოცვლის უწყვეტობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.